№ 216 25 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1878 25 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 216

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралоვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралоვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Гарешу მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულით სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Даубечдели სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდამ ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ოთხ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралоვის სახლებში, № 8.

ძალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

ღღიური

ღღი. Гушინ, ოთხშაბათს, ნაშუადღევის ორ საათზე იყო მეორე და უკანასკნელი ღღი.

პირველად გამოიყვანეს გასაჭენებელად 11 ცხენი, რომელშიაც შვიდი სახელმწიფო ქარხნის იყო (Тлисავეტ-Полисა და Маікопის) და დანარჩენი ოთხი კი კერძო პირებისა. პირველი ჯილდო აიღო Сулеіман-Ali-ის პატარა თეთრმა კვიცმა, რომელიც თ. Зр. Орბელიანის ჯოგიდამ არის ნაყიდი. ჯილდო იყო 400 მან.

მეორე გამოჭენებაზედ ყველაგვარ ცხენებს—აქაურებს და უცხო-ქვეყნისას, ჭაკს და ულაყაც და აგრეთვე ყველა წლოვანებისას ჰქონდათ უფლება ღღში გამოსვლისა. სულ 14 ცხენი გამოვიდა, ზოგი სახელმწიფო ხაზინისა და მომეტებული ნაწილი კი კერძო პირებისა—Борჩალოს და Уабარდოს ჯინშისა. პირველი ჯილდო აიღო Пოდპოლკ. Мნიკალოპოვის შაემა ქურთის ჯინშის ცხენმა, სახელად „Бишерამ“, რომელმანც მიიღო ყველაზე უდიდესი (ხალხთა-Шორისი) ჯილდო—500 მან. სიერცე გასაჭენებელი მანძილისა 4 ვერსი და 100 საჟ. იყო დანიშნული.

მესამედ გამოვიდნენ ყველა წლოვანების ჭაკი და ულაყი ცხენები ადგილობრივ ჯინშისა. სულ 6 ცხენი გამოიყვანეს. Უმთავრესი ჯილდო 75 მანეთი აიღო Მესტაფა-ალა Ტოპჩიევის ლურჯა ცხენმა, რომელზედაც თვითონ პატრონი იჯდა. მეორე ჯილდო 25 მან. ერგოთ აგრეთვე Пოდპოლკ. Მნაკოლოფოვის ნაცრის ფერ ჭაკ ცხენს „Იზვეგილდას“ Ширთის ჯინშისას.

ამ სამ ღოლს გარდა სევერსკისა და Ნიჟეგაროდის პოლკის დრაგუნებსაც გამართეს ორჯელ ჭენება. პირველს გაჭენებაზე გაიმარჯვა Პარუსოკის Ბურსკის ცხენმა და მეორეზედ Პრაპორსჩიკის Იედიგაროვისამ. პირველ გაჭენების შემდეგ კინაღამ ერთი უბედურება არ მოხდა: ერთმა აფიცერმა Ვიტტემ დროზე ვერ შეაჩერა თავის ცხენი, ვერც გარდაახვევინა და რაც ძალი ჰქონდა გაჭენებული ცხენი დაეჯახა პირველ მოსულს Ბურსკის; ორივე ცხენი წაიქცნენ, ორივე ზედ ძჯდომნიც დავარდნენ ძირს; მაგრამ მარცხი ღვთით, არა მოუხდარა-რა ცოტახანს შემდეგ ისევ ორივე თავ-თავიანთ ცხენებზე ეისხდნენ. Დრაგუნის ცხენები საზოგადოთ მძიმე ცხენებია და ღოლში ისინი ერთმანეთს თუ წაეჯიბრებიან, თორემ კერძო ცხენებთან ვერ გამოვლენ.

Ასე გათავდა წლეევანდელ Თფილისის ღოლი. Ცხენის მცოდნე კაცებისაგან გავიგონეთ ჩვენ, და ეს საზოგადოთ ყველამაც შენიშნა, რომ ამ ღოლში, ნამდვილად რომ ვსთქვათ, მხოლოთ ერთმა ცხენმა გამოიჩინა სახელი—თ. Зр. Орბელიანის „Მერცხალამ.“ Დანარჩენი ცხენები თითქმის სრულიად საღოლეენარ იყვნენ, არაფრით არ განირჩეოდნენ უბრალო კარგ მაჭენებელ ცხენებიდგან, რომელთაც ხშირად შეხვდებათ ხოლმე ჩვენში.

Უნდა ისიც ესთქვათ, რომ ასპარეზზე გამოსულ ცხენებში ბევრი კარგი ჯინშის ცხენებიც იყვნენ. Მაგრამ ერთი რამ აკლდათ საზოგადოთ ყველას: მომზადება; ღოლისთვის არ იყვნენ რიგიანად მომზადებული და გავარჯიშებული. Ამის მიზეზიც ის არის, რომ ერთობ გვიან იყო გამოცხადებული, წელს ღოლი არის დანიშნული Თფილისშიო.

Უეჭველია, რომ ღოლს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენის ჯინშის გაუმჯობესებისათვის. Კარგად გამართულს ღოლზე გამოჩნდება ცხენის სიკარგე და სიცუდე; ცხენის პატრონები ეცდებიან კარგი ცხენი გაამრავლონ, კარგათ ძოუარონ თავის საქონელს და ამასობაში ჯინში გაუმჯობესდება.

Რადგან შემდეგში მუდამ წელიწადს იქნება Თფილისში ღოლი, ამიტომ იმედია, ახლა ყველანი შეიტყობენ და მომავალ წლიდამ უფრო მომეტებული მედოლეები გამოჩნდებიან და უკეთეს ცხენებსაც, უკეთ მომზადებულებსაც გამოიყვანებენ, თან სახელისთვის და თან ჯილდოს მისაღებათაც.

*** Ბათუმიდამ გვწერენ, რომ ამ ღღეებში იქ მისულა ორი უცხო ქვეყნის სავაჭრო ხომალდი, ერთი საფრანგეთისა და ერთიც Ინგლისის; ამათ მოუტანიათ მომეტებული ნაწილი სასოფლო საქონლები.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ღღეებში უფ. Ჯანჯულაზოვის სახლიდამ, რომელსაც ახლად აშენებენ Შუა ბაზრის თავში, ერთი ვიღაც მუშა ჩამოვარდნილა კედლიდამ და, როგორც ამბობენ, მომკვდარა.

*** Ღღეანდელი ნომრის უკანასკნელს გვერდზე წაიკითხავთ განცხადებას, რომლიდამაც შეიტყობთ, რომ ამ თვის 27-ს, პარასკევს, იქნება ქართული წარმოდგენა, რომელზედაც სცენის მოყვარენი თამაშობენ: თ. Ბ. Თუმანიშვილისაგან ნათარგმნ მოლლიერის სამ-მოქმედებიან კომედიას „Ჟორჟ-Დანდენსა“ და უფ. Ვ. Აბაშიძისაგან გადაკეთებულ ერთ-მოქმედებიან ვოდევილს „Უვავი ფარშევანგის ფრთებით“.

„დროების“ კორესპონდენცია

სოფ. მეჯვრისხევი, 22 ოქტომბერს. ამ უკანასკნელს დროში ყველა კუნჭულებიდგან ისმიან ხმები ხალხის კეთილ-ღღეობაზე, ხალხის განათლებაზე. Ყველა კუთხეებიდგან გამოიძახიან, რომ ხალხის განათლების დროა, რაც უფრო მომეტებული განათლებული იქნება ხალხი, იმდენათ კარგ სამოქალაქო წესზე დადგება ჩვენი ცხოვრებაო, რომ ხალხის სენის მოსასპობლათ, ხალხის სიბნელიდგან ამოსაყვანათ, საჭირონი არიან ისეთი ღონის-ძიებანი, როგორც ბანკები, სახალხო შკოლები, მუშათა ასოციაციები და სხ.

Ვინ იტყვის ამ აზრების წინააღმდეგსა, ვინ არ მიიღებს ამ აზრების მღალადებელთ პირველა ხარისხის ეარსკვლავებათ ამ ჩვენ ცხოვრებაში; მაგრამ . . . მაგარი ის გახლავს, რომ ეს აზრები თუმცა განხორციელდენ, თუმცა შკოლებიც გვაქვს და ბანკებიც, თუმცა

ხალხის განათლებაზე, ფრიად მშვენიერი ხმები იმის, ლონის-ძიებანიცა კარგები არიან, მაგრამ აზრებიც და ლონის-ძიებანიც, საუბედუროთ მარტო ქაღალდზე და პირად ლაპარაკში არიან კარგები. Cხოვრებაში, სადაც იგინი საჭირონი არიან, სულ წინააღმდეგ მოვლინებას ვხედამთ. ამისთვის აზრები ხალხის კეთილ დღეობაზე ისევ აზრათა რჩებიან და ლონის-ძიებანი ლონის-ძიებევებათ.

ავილოთ ბანკები. ერთ ბანკს ვერ მიჩვენებთ, რომ ნამდვილის მიზნით მიდიოდეს, რომ რამოტელა რაიმე ნივთიერებითი სარგებლობა მოეტანა საწყალი გლეხებისთვის. ერთაათ-ერთს ბანკს აქებენ კახეთში, მხოლოდ იგი მიდისო კარგათა.

შორს რომ არ წავიდეთ, ავილოთ Oძისის ბანკი. რამტელი ხანია, რაც ეს ბანკი არსებობს, რაც იგი სუქდება და ფესვებს იდგამს. მაგრამ აბა ვნახოთ ამ ბანკმა რა ნაყოფი მისცა ხალხის კეთილ დღეობას:

Oა დიდი მაზრა, რომელიც ამ ბანკს უჭირავს, ახალ-ბორის ვაჭრების ხელშია დღევანდლამდის. ხალხის სიმდიდრე, ხალხის უკანასკნელი ლუკმა, ხალხის სული და ხორცი ისევ ამ გაუმაძღარი ვაჭრების ხელშია.

აბა უყურეთ ამ სომხებსა, რამდენი პური და ქერი მოკრიფონ კალოებზე დამპალ ჩითებში და თევზებში, რომლებითაც იგინი ატყუებენ არამც თუ მარტო გლეხებსა, იმ მაღალ სისხლიანებსაც!

მთელს დუშეთის უეზდში ერთი სასოფლო შკოლა არ არის. ამ უეზდსა სძინამს, თითქო არც კი გაუგია, რომ სხვა სოფლებში შკოლები არსებობენ!

ხალხი ვაჭრებისაგან იყვლიფება, არც ერთ სოფელში შკოლა არ არის, და დუშეთის უეზდი კი თავ-მომწონე საცოლო ბიჭივით ბანკზე იშვერს ხელსა: აი რა გვაქვს!

ნუ თუ მარტო იმისთვის სუფევს Oძისის ბანკი, რომ ორმა ჩინოვნიკმა ასიგნაციები თვალონ და ამ შრომაში ჯამაგირები აილონ?!... Oძისის ბანკმა რომ ახალ-ბორში ერთი დეპო გახსნას და შიგ იქონიოს ხალხისთვის საჭირო საქონელი, ჰყიდოს იგი ზომიერ ფასათ, ჩაუდგეს კრიჭაში იქაურს ვაჭრებს, გარწმუნებთ ორი წლის შემდეგ იგინი ეჩმიაძინში წავლენ ცოდვების მოსანანიებლათ; თუ ამას არ ინებებენ ბანკის მმართველები, შკოლა მაინც სადმე გახსნან, დაიჭირონ რიგიანი მასწავლებელი, ხომ შეძლება აქვს ბანკსა.

თუ ასე მოიქცევა ბანკი, მაშინ გვესმის ბანკის როლი ცხოვრებაში, თუ არა და ეხლა რა ბანკია Oძისის ბანკი,— მირზოევის კანტორასა ჰგავს!...

მიკვირს, რომ ის ფული, რომლებიც გლეხებს ერთმევათ შკოლების შესანახავათ, ისე ვერ მოუხმარებიათ, რომ სოფლის შკოლები რიგიანათ, წაიყვანონ! რამდენი ხანია, რაც ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებამ შკოლები გახსნა, და ჩვენ კი არა ვითარიმე ნაყოფს არ ვხედამთ მათში. რამდენი ხანია, რაც ზოგიერთ სოფლებში შკოლები არსებობენ, მაგრამ ვერც მათ მოისხეს ნაყოფი.

რა არის მიზეზი ამ მოვლინებისა? თუ იმას ვიტყვით, რომ მასწავლებლები არ ვარგანანო, ეს საფუძვლიანი მიზეზი არ იქნება, რადგანაც ამ შკოლებში ბევრგან, მომეტებულ ნაწილათ, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შკოლებში, სულ სპეციალისტი-პედაგოგები არიან. ნუ თუ ამათ არ ესმით შკოლის საქმე? ზოგს სოფლის შკოლებშიაც არიან სპეციალისტ-პედაგოგები.

ზოგ შკოლებში სემინარიელები არიან, რომლებსაც სპეციალური განათლება არ მიუღიათ პედაგოგიაში, მაგრამ კარგად ესმით შკოლის საქმე.

მიზეზი ამ მოვლინებისა ის გახლავთ, რომ სოფლის შკოლებიდგან რომ სოფლის შვილები კურს-შესრულებულ“ ენციკლოპედისტებათ“ გამოდიან, ისევ მალე ავიწყდებათ ყველაფერი და იმ წრეზე დგებიან, როგორც შკოლის განათლების წინ იყვნენ. მხოლოდ თუ მასწავლებელმა კარგა ასწავლა წერა-კითხვა, ეს დარჩებათ.

გლეხებს ეგ როდი უნდოდათ; იმათ უნდოდათ, რომ შკოლაში კურს-შესრულებულს მათ შვილს ცოტათი მაინც შეემსუბუქებინათ იმ უღლის სიმძიმე, რომელშიაც იგინი საუკუნოთ ლაბასავით აბიან.

სასოფლო შკოლებს უნდა ჰქონდეთ კავშირი იმისთანა სასწავლებელთან, სადაც გლეხის შვილებს შეეძლოთ სწავლის განგრძელება. Tაოსნობა მითხარ და წინამძღოლობა, თორემ ეს საქმე ადვილი შესასრულებელია.

ამაზე იმას მეტყვიან რომ, სამ წელიწადს ძლივს იმეტებენ შვილებსაო გლეხები შკოლისთვისაც და რომელი გლეხი მისცემსო შვილს სასოფლო შკოლიდგან სხვა შკოლაშიო? ვინც კარგა დაჰკვირებია გლეხების სწავლაზე შეხედულობას, ის ამ საქმეში ძნელს ვერას ჰპოებს. გლეხს უნდა „ნასწავლი შვილი“. თორემ, თუ მარტო წერა-კითხვისთვის ნდომებოდა შვილი, მაშინ შკოლაში როდი-ღა მისცემდა, მღვდლები დიაკვნები და სხვა კერძო პირებიც ასწავლიდნენ წერა-კითხვასა. გლეხის სურვილსა აწინდელი ჩვენი შკოლები სრულებით არ აკმაყოფილებენ.

მაგრამ, რადგანაც ახალი დაწყობილია შკოლის საქმე, უნდა ვფთხილდეთ-ვეფეროთ ამ საქმესა, და ბოლოს იქნება ეს ზემოთი ნათქვამი გულის წადილიც შეგვისრულდეს. ნათქვამია: უარარაობას ცხრა ულელი კატა სჯობიაო.

Oოსებ Dამკვირებაძე

ჩვენი სამშობლო სკოლებში სამღვთო კანონისა და სამშობლო ენის პროგრამებზედ.

ჩვენი სახალხო შკოლების სამღვთო კანონისა და სამშობლო ენის პროგრამების გახილვასა და შედგენაში—გარდა თვით სასოფლო შკოლების მასწავლებლებისა—დიდი მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გარეშე პირთაცა. მაგალითად, პირველათ რომ მასწავლებლებს სამღვთო კანონის პროგრამმაზედ შეექნათ გაცხარებული ბაასი, მაშინ იმ სჯაში მონაწილეობა მიიღო უფ. გიორგი Iოსელიანმაცა, რომელმაც ამ საგანზე შემდეგი აზრი წარმოსთქვა:

„სამღვთო კანონის პროგრამმის შედგენის დროს, ჩემის აზრით, განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იყვეს მიქცეული იმ ჩინებულ ელემენტზე, რომელიც თხოულობს იმას, რომ სამღვთო ისტორიის სწავლებას ვიწყობდეთ ხოლმე ახალი აღთქმიდამ. და არა ძველიდამ.“

დიდი მადლობა გადუხადა უფ. გ. Iოსელიანს სახალხო შკოლების დირექტორმა უფ. სტრელეცკიმ იმ გვარ მონაწილეობის მიღებისათვის და მისი აზრი შემდეგ მასწავლებელთ საბაასო საგნათაც დაუდო წინ.

აი სწორეთ ამ დროს წარმოსთქვა უფ. Iვ. როსტომაშვილმა ის თავის მრავალ შესანიშნავი აზრი სამღვთო კანონის სწავლებაზედ, რომელზედაც დღემდისაც არ შეწყვეტილა სჯა და ბაასი: პირველათ შემოსულ ყმაწვილებს უნდა შევასწავლოთ იმ ადგილობრივი წმინდანების ცხოვრებაო, რომლებზედაც ბავშვებს, სხვაც რომ არაიყვესრაო, ცოტაოდენი ცნობები მაინც მოეძიებიო.

აი რას ვკითხულობთ ამ საგნის შესახებ „დროების“ №200-ში:

»ყველას მოგვეხსენებათ, რომ ჩვენმა გლეხის ბიჭებმა მრავალი ზღაპრები, არაკები, გამოცანები, შაირები იციან. აგრეთვე ყველას მოგვეხსენებათ, რომ ყოველს ნაბიჯზე ესმისთ სიტყვა ღმერთი, ქრისტე, ქრისტიანი; რომ მათ იციან მრავალი გადმოცემაები Iესო ქრისტეზე და სხვა წმინდანებზე, როგორც მაგალითად წმ. ნინოზე ელიოზე, წმ. ბასილოზე და სხვა ადგილობრივ წმინდანებზე, როგორც მაგალითად—კახეთში Iოსებ ალავერდელზე, ზენონ Iკალთოელე, სტეფანე ხირსელზე და სხვებზე. რადგანაც ყოველიფერი ეს ბავშვისათვის უფრო ახლოაო, რამდენათმე ნაცნობია, თავისია, უმჯობესია სამღთო ისტორია ვიწყოთ ნაცნობიდამ, ადვილიდამ, ახლოდამ, ე. ი. საუბრებით ღმერთზე, საყდარზე, ლოცვაზე, ქრისტეზე, და იმ დიდ წმინდანებზე, რომელნიც პატივცემულნი არიან ჩვენ სამშობლო ქვეყანაში და საზოგადოთ იმ ადგილებში, სადაც იმყოფება თვით შკოლა. ამ აზრზე ყველა ერთხმათ დათანხმდა, მხოლოთ მოითხოვეს ნიმუშები საუბრებისა წმინდანებზე.

უ. Iვ. როსტომაშვილმა მეორე დღესვე წარუდგინა კრებას ოთხი წმინდანის ცხოვრების აღწერა: წმინდა ბასილისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. ნინოსი, წმ. ელიასი და წმ. ბიძინისა, ელიზბარისა და შალვისა. ეს წერილები კრებამ მოუწონა.“

ზემოთ მოხსენებულ აზრზე ყველა ერთხმათ კი არ დათანხმდა, როგორც ამოიკითხეთ, მკითხველნო, არამედ ერთი საშინელი ბაასი და პირში ხელების ქანება აუტეხეს ყველა მოსწავლებელთა უფ. როსტომაშვილსა.

ბოლოს უფ. როსტომაშვილს სთხოვეს მასწავლებლებმა, რომ მას მაინცადა-მაინც ეჩვენებინა იმ წმინდანებზე საუბრების ნიმუშები. უფ, ივ. როსტომაშვილმა მართლაც მეორე დღესვე წარუდგინა მოხსენებული საუბრების ნიმუშები; მაგრამ ეს მისი ნიმუშებიც კრებამ კი არ მოიწონა, არამედ საშინლათაც დაიწუნა. ამ ნიმუშებზე და საზოგადოთ უფ. როსტომაშვილის ახალს იდეაზე აი რა გვარი უკმაყოფილოება გამოაცხადა უფ. ეფრემ მარჯანიძემ:

„წმინდანების ცხოვრების აღწერაები ეკუთნიან საკუთრივ საეკკლესიო ისტორიასა და არა დაბადებისასა; ამიტომაც არ შეიძლება, რომ ისინი ბიბლიურ მოთხრობათ წარვუძღვანოთ მოსამზადებელ ვარჯიშობებათ. უფრო აჯობებს, რომ სამღვთო ისტორია ძველი აღთქმიდამ ვიწყოთ, ვიდრე ალიდამ.

ეს იმიტომ, რომ ძველი აღთქმა უფრო მარტივ და ყმაწვილების გონების მისაწდომელ სარწმუნოებისა, ზნეობისა და რელიგიურ ცხოვრების მაგალითებს შეიცავს, ვინემ ახალი აღთქმა. ტყუილათ კი არ იწოდება ძველი აღთქმა სახარების სწავლისადმი მოსამზადებელ ელემენტათ. უამისოთ ხალხს ვერ შეეძლო ვერა-რიგად იმ მაღალ ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა გაგება, რომლებსაც თავისში შეიცავს ახალი აღთქმა. ბარდა ყოველ ამისა-ბიბლიურ მოთხრობათ აქვსთ კანონიკური ხასიათიცა, რაც სრულიადაც არ შეიძლება ითქვას ადგილობრივი წმინდანების აღწერებზე:

ეა რომ უფ. დირექტორმა სტრელეცკიმ მოისმინა, ძალიან შეფქრიანდა და ამ ნაირი კითხვით მიექცა უფ. როსტომაშვილისადმი:

„მართლაც-და საიდამ ამოიღეთ ეგ თქვენი ნიმუშები წმიდანებზედ?“ ამაზედ უ. როსტომაშვილმა დირექტორს ყურში ჩუმათ რაღაც წაუდუდუნა, რომელიც, სამწუხაროთ, მე ველარ მოვისმინე. შემდეგ მცირედის იდუმალობისა—უფ. დირექტორმა საქმეს ასეთი დაბოლოვება მისცა: რადგანაც ეს კითხვა მართლაც საძნელო და მოსაცთუნებელია ამიტომ საჭიროა, რომ მის საფუძვლიანად განსარკვეველათ მოვიწვიოთ ამ საგანში კარგად დახელოვნებული სასულიერო პირნიცაო.

შემდეგ კრებაზე მოწვეულ სასულიერო პირთაგან მხოლოთ ერთათ-ერთისმეტი არ გამოცხადებულა და ამ ერთმაც პირდაპირ უარ ჰყო უფ. ივ. როსტომაშვილის აზრი და მიემხრო მის წინააღმდეგ მხარესა. ამ ნაირათ უფ. ივ. როსტომაშვილის აზრი და სამღვთო კანონის პროგრამმა კრებამ სამუდამოთ დაიწუნა და ნაცვლათ მისისა მიიღო ის პროგრამმა, რომელზედაც „ივერიის“ № 37-შიაც იყო ნათქვამი ორიოდე ჭეშმარიტი სიტყვა.

ა. მ

(დასასრული შემდეგ ნომერში)

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ბაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობები ავგანისტანსა და ინგლისს შუა შეტაკების თაობაზედ:

„ბოლამ-ჰუსსეინ-ხანმა, რომელიც ინდოეთის ვიცე-კოროლისაგან იყო ავგანისტანის ემირთან გაგზავნილი, მოიტანა იქიდამ ამბავი, რომ ემირმა დიდის პატივის-ცემით მიიღო ის ქაბულში; მაგრამ ტყვესავით ყოფილა, არსაც არ უშვებდნენ თავის სახლიდამ და არც არავის უჩვენებდნენ. ემირთან კი სამჯერ ყოფილა და ულაპარაკნია. ემირთან ლაპარაკიდგან ის ჰაზრი გამოვიყვანეო, ამბობს ბოლამ-ჰუსსეინ-ხანი, რომ იმას არავითარი მტერობა არა აქვს ინგლისისა; იმის სურვილია, რომ რუსებმაც და ჩვენც თავი დავანებოთ, არც ერთთან არ უნდა მეგობრობა და კავშირი. მაგრამ აქ არის ერთი პარტია, რომელიც ცდილობს, რომ რუსსეთთან დაკავშიროს ავგანისტანი; ამ პარტიას დიდი ძალა აქვს და ემირზედაც აქვს გავლენა.

„როგორც შევიტყე, ემირმა გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ავგანელი, რომელსაც კი თოფის აღება შეუძლიან, უნდა გამოვიდეს ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველათაო. ამბობენ აგრეთვე, რომ ავგანისტანის ჯარში ციებ-ცხელება არის გავრცელებულიო.“

— სიმლიდამ „დელი ნიუსში“ იწერებიან, რომ ლენ. მოდ დაინიშნება პეშავარში დაყენებულის ინდლისის ჯარის მთავარ-სარდლად და ლენ. სტუარტი კი მელტონის ჯარის სარდლათაო. სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, პეშავარში 20,000 კაცი თავის არტილლერიითა და სურსათით უნდა იყოს დამზადებული.

ოსმალეთი

„პოლიტიკურს ძორრესპონდენციაში“ იწერებიან, რომ საოსმალოს ბოლგარიის აჯანყებულების რიცხვი სულ 30,000 ავიდაო; იმათ აქვთ თოფ-იარაღი და ზარბაზნებიც. განთავისუფლებული ბოლგარიიდამაც რამდენიმე ათასი დაიარაღებული მილიციონერები გადავიდნენ იმათ მხარეს.

— ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია, რომ ბერლინის პოლიტიკოსები ამბობენო, რომ აღმოსავლეთის საქმეების ამ ჯერობით დასაცხრომად მხოლოდ ერთი საშუალება არისო: აღმოსავლეთ რუმელიის ანუ საოსმალო ბოლგარიის შეერთება განთავისუფლებულ ბოლგარიასთანაო. სანამ ეს ხალხი ორ ნაწილად იქნება გაყოფილი, მანამ ისინი ვერ მოისვენებენ და ამათ გადამკიდე ევროპაც მუდამ აღელვებაში იქნებაო.

— ფრანცუზული გაზეთის „ფრანსის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება სტამბოლიდამ, რომ აქაური რუსის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკი თითქმის სრულიად უბრალ არის ოსმალოს მთავრობასთანაო, არც ხონთქარს და არც მთავარ ვეზირს აღარ ეკარებაო. ინგლისის ელჩს ლეიარდს კი მუდამ ხან ხონთქართან და ხან მინისტრებთან აქვს მოლაპარაკება და რჩევაო.

— სტამბოლის ახლო-მახლო ადგილებში დაყენებული ოსმალოს და რუსის ჯარები ძალიან განზე უყურებენ თურმე ერთმანეთს და ერთი უბრალო მიზეზი საკმაო არისო, რომ ამათ შეტაკება მოუხდეს და სისხლი დაიღვაროსო.

— ოსმალეთის სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, აფიცრებსა და სალდათებს აღარ ითხოვენ შინ აღარც დროებით.

საფრანგეთი

ზოგიერთს ფრანცუზულს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, ვითომც ახლანდელ რესპუბლიკის პრეზიდენტს მარშალ მაკ-მაჰონს განზრახვა აქვს, რომ პრეზიდენტობას თავი დაანებოს. ამ საგნის შესახებ „ლუარეს ჟურნალში“ დაბეჭდილია ახლა, რომ ეს ხმები სრულიად უსაფუძვლო ხმები არისო, მარშალს ჰაზრათაც არ მოსვლიაო, რომ 1880 წლამდინ, სანამ შვიდი წლის ვადა არ გაუვა, პრეზიდენტობის თანამდებობა მიატოვოსო.

— ამ ორი კვირის წინათ საფრანგეთში გარდაიცვალა გამოჩენილი ორლეანის ეპისკოპოსი, აკადემიკოსი და სენატორი დიუპანლუ, რომელიც უფრო გამოჩენილი იყო როგორც პოლიტიკოსი და ჟურნალისტი და არა როგორც ეპისკოპოსი. ამ უკანასკნელი 10 წლის განმავალობაში ის გაუწყნარებლივ სწერდა და ქადაგებდა რესპუბლიკელების წინააღმდეგ, ყოველის მხრითა და ყო-

ველის საშუალებით ცდილობდა იმათ სახელის გაფუჭებას ხალხის თვალში, იმათ დაცემას, მაგრამ რესპუბლიკამ ისეთი მაგარი ფესვები გაიდგა საფრანგეთში, ისეთი თანაგრძნობა შეიძინა ხალხში, რომ იმის დაღუპვა დიუპანლუთანა უფრო ნიჭიერ და გავლენიან კაცებსაც ვერ მოახერხეს და იმედია, ვერც შემდეგში მოახერხებენ.

ტელეგრამები

პეტერბურლის ბირჟა, 24 ოქტომბერ,

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96	62
მეორესი — — — —	95	75
მესამესი — — — —	95	50
მეოთხესი — — — —	95	50
აღმოსავლეთის — —	92	37
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	32
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — „— „		

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	234	75
მეორე სესხის — — —	228	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	23—	13/16	პენსი
ამსტერდამი— —	120—	25	ცენტი
ბერლინი— — —	203—	„	ჰფენიგი
პარიჟი — — —	250—	„	სანტიმი
კავკასიის კერასინი— —	2 —	25	

განცხადებანი

პარასკევს, 27-ს ღვინობისთვეს

ნემეცების კლუბის ზალაში

იქნება წარმოდგენილი სცენის მოყვარეთაგან

ქართველი სტუდენტების სასარგებლოდ

„ოქრუ დანდენი“,

კომედია 3-ს მოქმედებად მოლიერისა, გადმოთარგმნილი თ. ბ. თუმანიშვილისაგან და

„ყვავი ფარშევანგის ფრთებით“

ვოდევილი 1-ს მოქმედებად, გადაკეთებული ვ. აბაშიძისაგან.

ანტრაქტებში იქმნება სიმღერა: **სახალხო სიმღერები** ხორითა; და ამას გარდა იმღერებს „**ადგულ-ბაღი**“.

წარმოდგენის შემდეგ ტანციოგა იქმნება.

ბილეთების ყიდვა შეიძლება უფ. გრ. ჩარკეიანის და ბრიკეროვის წიგნის მაღაზიებში და სულთანის თამბაქოს მაღაზიაში. (2—1)

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების საამგზავნოებისაგან

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეობა ამით უცხადებს ქალაქ ს თფილისის იმ მცხოვრებთა, რომელთაც აქვთ სახლი ანუ ბაღი ძველ საეკლესიო და ახლა სახაზინო მამულზედ, რომ 1870 წლის 20 ქრისტეშობისთვეს გამოცხადებულის უმაღლესის განკარგულების და აგრეთვე 1873 წელს—15 მარტს გამოცემულის ადრინდელი მთავარ-სამართველოს რჩევის დადებულების ძალით, ხსენებული **საეკლესიო და ახლა სახაზინო მამულები**, რომლებიც სდგანან თფილისში და ამის არე-მარეში და - რომელზედაც აშენებულია ეკლესიები ანუ გამართულია ბაღები, **უნდა გაიყიდოს ამ სახლებისა და ბაღების პატრონებზე.**

ფასი უნდა გადაიხადონ ან იმ არენდის-ფულის ოესაუერად, რომელსაც ახლა აძლევენ ამ მამულში და ანუ იამულების დაფასებით.

ვადა ამ მამულების ხსენებულს საფუძველზე გაყიდვისა დანიშნულია **ექვსი თვე.**

თუ ამ ზემო აღნიშნულ ვადამდინ ის საეკლესიო მამულები არ შეისყიდეს სახლისა და ბაღის პატრონებმა, ამ შემთხვევაში მთავრობის განკარგულებით ის მამულები ხელ-ახლად იქნებიან დაფასებულნი და ამ ახალი დაფასების დაგვარად ახალი არენდის ფასიც დაინიშნება.

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგებელი პოლკოვნიკი ბელიკი.

სეკრეტარი მელიქ-მელქონოვი. საქმის მწარმოებელი მაჭავარიანი.

(3—3)

გასაქირავებელი სადგომი არის ირაკლის ეუჩაზე ბასტამოვის სახლებში, მეორე ეტაჟაში: **ოვიდი სუფთა ოთახი**, სამზარეულო და ბიჭებისთვის ოთაები.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟაში, სადაც უფ. **კონსტანტინე ბრუჩინოვი** დგას. (10—9)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18	-	-	-	-
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სადამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5.			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორ. . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქალაქებში	—	50
ეროსტოვ, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბურ, ვარშავას	2	—
ოსმალეთს, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, ბუთაისს, **ოუ**ბეთს— ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. ბ. ბეთს—ს.მშ. და შაბ. ბ) ბუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ— ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზუ-გეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა ოუსეთში		კაპ
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნი		4
დ ბ ბ ბ (ბ.მი მისხ.ლი) .		8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 22 ოქტომბ.		
ფქვ. თეთ. ბანგ.სა, ფუთ.	1	80
ფ ვილი ფ-თელი . . .	1	60
ბეღი ფუთი	1	30
ბანბა ერევ ისა, ფუთი .	6	50
— ამერიკიაა, ფუთი . .	7	40
ბაპენტილი ბ მბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	60
— თარაქამ.სა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონ , ფუთი	5	60
ქონის სანთ ლი ფუთი .	7	60
სტეარინის ს ნთ ლი, ფუთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	30
—ფხვნილი ფუთი . . .	6	20
ყავა გრგვ ლი, გირვ . .	—	70
ბეთი ქუნაუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ს.ფუ ლო. ფუთ.	6	60

თფილისის სამკურნალო

ერევნ ს მეიდანზე, წ ნამძღვარიანს სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ოროშაბათს: ვერ ეშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქირურგიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვს, პეუნოვი—თვალ.ს.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ.განი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქირურგიანი—ინფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევ: ვერმიშ ევი-შ.ნ.გ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალია და ბავშვებ ს.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალ.ს.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Октября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.